



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაგილონი

თაგილონი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., სალხინო). ზ. დ. 60 მ, გალიდან 15 კმ. 1,2 ათ. მცხ. (1989).

სოფელში, მდ. თაკის (ენგურის შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, მდებარეობს ე. წ. წიფურთას ნამოსახლარი. აქ აღმოჩენილია კერამ. ფრაგმენტები, რ-თა საშუალებით განისაზღვრება წიფურთას ბორცვის წარმოშობის ხანა – გვიანდ. ბრინჯაოს საწყისი ეტაპი (ძვ. წ. XV-XIV სს.).
